მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე „21“ „მარტი“ 2013 წ

შეთანხმების მონაწილეები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106 საიდენტიფიკაციო კოდი 424066977), რექტორის, სრული პროფესორის, მერაბ ბერიძის სახით და სამცხე-ჯავახეთის ფერმერთა ასოციაცია „ფარეზი“, დირექტორის მურადი გოგოლაძის სახით საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გაანალიზებისა და განზოგადების მიზნით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ შემდეგზე:

განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტის ცოდნისა და პროფესიული უნარების ათვისების დარგში, რისთვისაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მაგისტრატურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას სამცხე-ჯავახეთის ფერმერთა ასოციაცია „ფარეზი“-ში.

- მხარეთა წარმომადგენლები წინასწარ შეათანხმებენ პროფესიული პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა აუცილებელი ჩასატარებელი ღონისძიების განრიგს.
- მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმით სურვილის გამოთქმამდე.
- მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
მერაბ ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის ფერმერთა
ასოციაცია „ფარეზი“-ს
დირექტორი
მურადი გოგოლაძე

შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი

``29`` ``04`` ``2014 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში – ``სასწავლო უნივერსიტეტი``) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, სამცხე-ჯავახეთის ფერმერთა ასოციაცია „ფარეზი“ (შემდგომში – „ასოციაცია“) წარმოდგენილი დირექტორის მურადი გოგოლაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდგზე:

შეტანილ იქნეს ცვლილება მხარეთა შორის 2013 წლის 01 მაისს გაფორმებულ „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმში და პრეამბულის მომდევნო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.„განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტის ცოდნისა და პროფესიული უნარების ათვისების დარგში, რისთვისაც სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მაგისტრატურის პროგრამის („ბიზნესის ადმინისტრირება“) სტუდენტები და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის, ზოოტექნიკოსის, აგროტექნოლოგიის და აგრონომიის, როგორც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის ასევე, პროფესიული პროგრამების (მათშორის``მემცენარეობა`` და სხვ.) სპეციალობების, სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას ასოციაციაში.

2.შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის 2013 წლის 01 მაისს გაფორმებული „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ინახება მხარეებთან.

სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი, პროფესორი

მერაბ ბერიძე

მ. ა

სამცხე-ჯავახეთის ფერმერთა ასოციაცია „ფარეზი“

დირექტორი

მურადი გოგოლაძე

მ.ს